

## შეთანხმება

# საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ

საქართველოს მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვრელ მხარეებად“ წოდებულნი,

გამოთქვამენ რა თავიანთ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილს, კერძოდ, ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციებთან დაკავშირებით,

აღიარებენ რა, რომ ამ ინვესტიციების მოპყრობასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმება ხელს შეუწყობს ერთი ხელშემკვრელი მხარიდან მეორე ხელშემკვრელ მხარესთან კაპიტალისა და ტექნოლოგიების მიმოქცევასა და ხელშემკვრელ მხარეთა ეკონომიკურ განვითარებას,

თანხმდებიან რა, რომ თანასწორი და სამართლიანი საინვესტიციო რეჟიმის მიწიჭება სასურველია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ხელს შეუწყობს სტაბილური საინვესტიციო ჩარჩოს შენარჩუნებას და ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებასა და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას, და

გამოთქვამენ რა რწმენას, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სფეროში ზოგადი ხასიათის ზომების, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული შრომითი უფლებების შეუზღუდავად,

იღებენ რა გადაწყვეტილებას გააფორმონ შეთანხმება ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1  
განსაზღვრებები

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის:

1. ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს ნებისმიერი სახის აქტივს, რომელიც ინვესტირებულია ხანგრძლივი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მიზნით, ერთი ხელშეკრული მხარის ინვესტორის მიერ მეორე ხელშეკრული მხარის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად და მოიცავს, კერძოდ :

(a) მოძრავ და უძრავ ქონებას, ასევე ნებისმიერ სხვა უფლებას, როგორცაა გირაო, ყადაღა, იპოთეკა და სხვა მსგავს უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია იმ ხელშეკრული მხარის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია ქონება;

(b) რეინვესტირებულ ამონაგებს, ფულის მოთხოვნას ან ნებისმიერ სხვა ისეთ უფლებებს, რომლებსაც გააჩნიათ ფინანსური ღირებულება ინვესტიციასთან მიმართებაში;

(c) აქტივებს, წილებს ან კომპანიებში მონაწილეობის სხვა ფორმებს;

(d) სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, როგორცაა პატენტები, სამრეწველო ნიმუშები, ტექნოლოგიური პროცესები, ასევე სავაჭრო ნიშნები, გუდვილი, ნოუ-ჰაუ, რომლებიც დაკავშირებულია განხორციელებულ ინვესტიციებთან;

(e) კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებულ სამეწარმეო კონცესიებს, მათ შორის ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული კონცესიები.

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, აქტივები ინვესტიციად განიხილება, თუ ისინი პასუხობს ინვესტიციისთვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს, როგორცაა კაპიტალის ან სხვა რესურსების არსებობა, შემოსავლის ან მოგების მიღების მოლოდინი, რისკის ვარაუდი და გარკვეული ვადა.

არზიტრაჟის გადაწყვეტილებები ან ნებისმიერი ბრძანება ან სასამართლო გადაწყვეტილება განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებითა, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, არ ჩაითვლება ინვესტიციად.

2. ტერმინი „ინვესტორი“ თითოეულ ხელშემკვერელ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს:

(a) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც ამ ხელშემკვერელი მხარის მოქალაქეობა გააჩნია მისი კანონმდებლობის შესაბამისად;

(b) ნებისმიერ იურდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია მოგების მიღების მიზნით, კომპანიების, კორპორაციების, ფირმების, ბიზნეს გაერთიანებების ჩათვლით, რომელიც ორგანიზებულია ან შექმნილია ამ ხელშემკვერელი მხარის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნია წარმომადგენლობა და ეწევა ძირითად სამეწარმეო საქმიანობას ამ ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე.

რომელთაც განახორციელეს ინვესტიცია მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე.

3. ტერმინი „ამონაგები“ ნიშნავს ინვესტირების შედეგად მიღებულ თანხებს, რომლებიც კერძოდ მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მოგებას, პროცენტებს, კაპიტალის ზრდით მიღებულ მოგებას, როიალტს, მოსაკრებლებს და დივიდენდებს.

4. „ტერიტორია“ ნიშნავს:

(a) საქართველოსთან მიმართებით:

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერიტორიას, მათ შორის სახმელეთო სივრცეს, მის წიაღსა და საჰაერო სივრცეს მის ზემოთ, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას, მათ ფსკერს, წიაღსა და საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ, რომელთა მიმართაც საქართველო განახორციელებს მის სუვერენიტეტს, ასევე, მის ტერიტორიულ ზღვასთან მიმდებარე ზონას, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფს, რომელთა მიმართ საქართველოს შეუძლია განახორციელოს თავისი სუვერენული უფლებები და/ან იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის დებულებების შესაბამისად.

(b) თურქეთის რესპუბლიკასთან მიმართებით:

სახმელეთო ტერიტორიას, შიდა წყლებს, ტერიტორიულ ზღვასა და საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ, ასევე საზღვაო აკვატორიას, რომელთან მიმართებაშიც თურქეთი, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებებს ან იურისდიქციას ბუნებრივი რესურსების შესწავლის, გამოყენების და შენარჩუნების მიზნით.

## მუხლი 2 გამოყენების სფერო

ეს შეთანხმება ვრცელდება ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორთა მიერ თავისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად განხორციელებულ ინვესტიციებზე, მიუხედავად იმისა, ეს ინვესტიციები წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლამდე განხორციელდა თუ ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან, წინამდებარე შეთანხმება არ ვრცელდება იმ დავებზე, რომლებიც წარმოიშვა მის ძალაში შესვლამდე.

## მუხლი 3 ინვესტიციების წახალისება, დაშვება და დაცვა

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე, თავისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, წახალისებს თავის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორთა მიერ ინვესტიციების განხორციელებას, მხარეთა შორის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ჩათვლით.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარე, მისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ხელს შეუწყობს ინვესტიციებთან დაკავშირებული აუცილებელი ნებართვების გაცემას, სალიცენზიო შეთანხმებებისა და ტექნიკური, კომერციული ან ადმინისტრაციული დახმარების კონტრაქტების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვების ჩათვლით, და ასევე კონსულტანტებისა და ექსპერტების საქმიანობის განხორციელებისათვის საფულდებულო ავტორიზაციას.

3. თითოეული ხელშემკვერელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციებს ნებისმიერ დროს, მიენიჭება სამართლიანი და თანასწორი რეჟიმი და მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იქნება სრული დაცვით და უსაფრთხოებით, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ხელშეწყობის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად. არც ერთი ხელშემკვერელი მხარე უსაფუძვლო ან დისკრიმინაციული ქმედებებით ხელს არ შეუშლის ასეთი ინვესტიციების მართვას, შენარჩუნებას, გამოყენებას, ოპერირებას, სარგებლობას, გაფართოებას, გაყიდვას, ლიკვიდაციას ან განკარგვას.

## მუხლი 4 საინვესტიციო რეჟიმი

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე აღნიშნულ ინვესტიციებს, მას შემდეგ რაც ისინი განხორციელდება, მიანიჭებს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, რომელსაც მსგავს გარემოებებში ის ანიჭებს საკუთარ ინვესტორთა ინვესტიციებს, ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორთა ინვესტიციებს, იმის მიხედვით, თუ რომელი რეჟიმი აუფრო ხელსაყრელი, ინვესტიციების მართვასთან, შენარჩუნებასთან,

გამოყენებასთან, ოპერირებასთან, სარგებლობასთან, გაფართოებასთან, გაყიდვასთან, ლიკვიდაციასთან ან განკარგვასთან დაკავშირებით.

2. ხელშემკვერელი მხარეები, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობენ თითოეული ხელშემკვერელი მხარის მოქალაქეებს მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე შესვლას ინვესტიციების ჩადებისა და განხორციელების მიზნით.

1.(a) წინამდებარე მუხლის დებულებები არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითოეულ ისინი ავალდებულებენ ერთ-ერთ ხელშემკვერელ მხარეს მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორებს მიაწიჭოს ნებისმიერი ისეთი რეჟიმი, შედეგადად ან პრივილეგია, რომლის მიანიჭებაც პირველ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია ნებისმიერი ისეთი საერთაშორისო შეთანხმების ან ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მთლიანად ან ძირითადად შეეხება დახეგრას.

(b) წინამდებარე შეთანხმების არადისკრიმინაციულობის, ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დებულებები არ გავრცელდება იმ მოქმედ თუ სამომავლო პრივილეგიებზე, რომლებსაც თითოეული მხარე ანიჭებს საბაზო, ეკონომიკური ან სავალუტო კავშირის, საერთო ბაზრის ან თავისუფალი სავაჭრო ზონის წევრობიდან ან მათთან არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე საკუთარ ან ზემოაღნიშნული კავშირების, საერთო ბაზრის ან თავისუფალი სავაჭრო ზონის, ან ნებისმიერი სხვა შესაბამე სახელმწიფოს მოქალაქეებს ან კომპანიებს.

(c) ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ გულისხმობს არახელშემკვერელი მხარის ინვესტორსა და მათი ინვესტიციების მიმართ მიანიჭებულ რეჟიმს, რომელიც გათვალისწინებულია დაგების მოგვარებასთან დაკავშირებით ამ შეთანხმებით ან ხელშემკვერელ მხარესა და არახელშემკვერელ მხარეს შორის გაფორმებული სხვა საერთაშორისო შეთანხმების დებულებებით.

(d) უფრო მეტი სიცხადისთვის, პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეჟიმი არ ითვალისწინებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებისმიერ სახელმწიფოებრივ ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია ხსენებული ხელშემკვერელი მხარის მიერ გაფორმებული საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებით.

(e) წინამდებარე შეთანხმების მე-3 და მე-4 მუხლების დებულებები არ ავალდებულებს ერთ ხელშემკვერელ მხარეს მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციებს მიაწიჭოს ისეთივე რეჟიმი, რომელსაც ის ანიჭებს საკუთარ ინვესტორთა ინვესტიციებს მიწისა და უძრავი ქონების, ასევე მასთან დაკავშირებული სანივთო უფლებების შეძენასთან მიმართებაში.

## მუხლი 5

### ზოგადი გამოწვევები და რეგულირების უფლება

1. წინამდებარე შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს იგი ხელს უშლიდეს ხელშეკვრულ მხარეს გაატაროს, მხარი დაუჭიროს ან აღასრულოს ნებისმიერი არა-დისკრიმინაციული სამართლებრივი ზომა, რომელიც:

(ა) შემუშავებულია და მიმართულია ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ან გარემოს დაცვის მიზნით;

(ბ) დაკავშირებულია გოცხალი ან არაცოცხალი ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების კონსერვაციასთან.

2. წინამდებარე შეთანხმების არცერთი პუნქტი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს:

(ა) ავალდებულებს რომელიმე ხელშეკვრულ მხარეს გასცეს ან ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მას მიაჩნია თავისი ქვეყნის უშიშროების არსებითი ინტერესების საზიანოად;

(ბ) ხელს უშლის რომელიმე ხელშეკვრულ მხარეს გაატაროს ისეთი ზომები, რომლებსაც ის მიიჩნევს აუცილებლად თავისი ქვეყნის უშიშროების არსებითი ინტერესების დასაცავად;

(i) რაც დაკავშირებულია იარაღით, საბრძოლო აღჭურვილობითა და მასალებით ვაჭრობასთან და ისეთი სხვა საქონლით, მასალებით, მომსახურებითა და ტექნოლოგიებითა ვაჭრობასთან, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ითვალისწინებს სამხედრო ან უშიშროების სხვა უწყების მომარაგებას;

(ii) რაც მიიღება ომის ან საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობის დროს;

(iii) რაც დაკავშირებულია ეროვნული პოლიტიკის ან იმ საერთაშორისო შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლებშიც დადასტურებულია ბირთვული იარაღის ან ბირთვული ასანფეთქებელი აპარატურის გაუერცყვლადობის პრინციპების პატივისცემა;

ან

(c) ხელს უშლის რომელიმე ხელშეკვრულ მხარეს გაატაროს ზომები იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც მას წაკისრი აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე.

3. ამგვარი ზომების მიღების, შენარჩუნების ან გატარებისას უნდა შესრულდეს პირობა, რომლის თანახმადაც, ისინი არ უნდა იქნას გამოყენებული თვითნებური ან გაუმართლებელი სახით ან არ უნდა წარმოადგინდნენ მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციების შენიღბულ შეზღუდვას.

### მუხლი 6 ექსპროპრიაცია და კომპენსაცია

1. ინვესტიციები არ დაექვემდებარება ექსპროპრიაციის, ნაციონალიზაციის ან ეკვივალენტური ეფექტის მქონე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზომებს, (შემდგომში „ექსპროპრიაცია“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ექსპროპრიაცია ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს, ხორციელდება არა-დისკრიმინაციულ საფუძველზე, სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური კომპენსაციის გადახდის პირობით და სათანადო სამართლებრივი პროცედურით.

2. კომპენსაცია ექვივალენტური უნდა იყოს ექსპროპრირებული ინვესტიციის იმ საბაზრო ღირებულების, რომელიც არსებობდა უშუალოდ ექსპროპრიაციის განხორციელებამდე ან მოსალოადნელი ექსპროპრიაციის შესახებ საჯაროდ გამოცხადებამდე, კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნას დაყოვნების გარეშე და იყოს თავისუფლად გადაცემადი, როგორც ეს მითითებულია მე-8 მუხლში.

3. კომპენსაციის გადახდა უნდა განხორციელდეს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და კომპენსაციის გადახდის დაყოვნების შემთხვევაში, იგი უნდა მოიცავდეს სათანადო პროცენტს.

### მუხლი 7 ზარალის კომპენსაცია

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს, რომელთა ინვესტიციებიც განიცდის ზარალს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ომის, ამბოხების, სამოქალაქო არეულობის ან სხვა მსგავსი გარემოებების გამო, იმ ზომებთან მიმართებაში, რომლებსაც ეს ხელშემკვრელი მხარე ატარებს ამგვარი ზარალის აღმოფხვრის მიზნით, მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ მიენიჭებათ იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, რომელიც მინიჭებული აქვს მის საკუთარ ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს.

2. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის შეუზღუდავად, ყრთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, რომელიც ამ პუნქტში მითითებული ნებისმიერი სიტუაციის შედეგად განიცდიან ზარალს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, გათმდენარე:

(ა) მისი შეიარაღებული ძალებისა და უწყებების მიერ მათი საკუთრების რეკვეზიციით;

(ბ) მისი შეიარაღებული ძალებისა და უწყებების მიერ, მათი საკუთრების განადგურებით რაც არ იყო გამოწვეული საბრძოლო მოქმედებითა და სიტუაციის აუცილებლობით;

ისარგებლებს რესტიტუციის უფლებითა და კომპენსაციით, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იყოს ადეკვატური, ეფექტური და გადახდილი გონივრულ პერიოდში. შესაბამისი გადასდები უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი.

## მუხლი 8

### რეპატრიაცია და ტრანსფერტი

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე კეთილსინდისიერად უზრუნველყოფს ინვესტიციასთან დაკავშირებული ყველა ტრანსფერტის თავისუფლად და გაჭიანურების გარეშე განხორციელებას თავის ტერიტორიაზე და ტერიტორიიდან. ასეთი ტრანსფერტი მოიცავს შემდეგს:

(ა) საწეის კაპიტალს და ინვესტიციების შენარჩუნებისა და გარდისთვის განკუთვნილ დამატებითი თანხებს;

(ბ) ამონაგებს;

(ც) მთლიანი ინვესტიციის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გაყიდვის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული შემოსავლებს;

(დ) მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული კომპენსაციის თანხებს;

(ე) ინვესტიციებთან დაკავშირებული ხესხის დასაფარად გამიზნული შენატანებსა და დარიცხული პროცენტებს;

(ფ) ხელფასს, გასამრჯელოს ან სხვა სახის ანაზღაურებას, რომელსაც იღებენ ერთი ხელშემკვრელი მხარის ის მოქალაქეები, რომლებმაც მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიიღეს შესაბამისი საშუალო ნებართვები ინვესტიციებთან დაკავშირებით;

(გ) საინვესტიციო დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული თანხებს.

2. ტრანსფერტები უნდა შესრულდეს იმ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია, ან ნებისმიერ სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, ტრანსფერტის განხორციელების დღეს მოქმედი სავალუტო განაკვეთით, თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს ინვესტორსა და მიმღებ ხელშემკვრელ მხარეს შორის.



3. როდესაც განაკლის შემთხვევებში, გადახდები და კაპიტალის მიმოქცევა იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს საგადასახდლო ბალანსთან დაკავშირებული სერიოზული სირთულეები, თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია დროებით შეზღუდოს გადარიცხვები, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები წესდება არადისკრიმინაციულ და კეთილსინდისიერ საფუძველზე.

4. წინამდებარე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიუხედავად, ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია დააყოვნოს და/ან აღკვეთოს ფულადი სახსრების გადარიცხვა სამართლიანი, არადისკრიმინაციული და კეთილსინდისიერი ზომების გზით, რაც დაკავშირებულია დაბეგვრასთან, კრედიტორების უფლებების დაცვასთან და სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოტანილი განაჩენებისა ან გადაწყვეტილებების აღსრულებასთან, ან სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულებასთან.

#### მუხლი 9 სუბროგაცია

1. თუ ერთი ხელშემკვერელი მხარე ფლობს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დაზღვევას ან საგარანტიო სქემას, რათა დაიცვას მისი ინვესტორის ინვესტიციები არაკომერციული რისკებისგან, და თუ ამ ხელშემკვერელი მხარის ინვესტორი მიერთებულია მასზე, დამზღვევის ნებისმიერი სუბროგაცია, რომელიც გამომდინარეობს ამ ინვესტორებსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო კონტრაქტიდან, აღიარებული იქნება მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ.

2. სუბროგაციის საფუძველზე დამზღვევი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტორის უფლებები და აღასრულოს მისი მოთხოვნები და იკისროს ინვესტიციასთან დაკავშირებული ვალდებულებები. სუბროგირებული უფლებები ან მოთხოვნები არ უნდა აღმატებოდეს ინვესტორის თავდაპირველ უფლებებსა და მოთხოვნებს.

3. ხელშემკვერელ მხარესა და დამზღვევს შორის დავები მოგვარდება წინამდებარე შეთანხმების მე-10 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

#### მუხლი 10 დავების გადაწყვეტა ხელშემკვერელ მხარესა და მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორს შორის

1. ეს მუხლი ვრცელდება ერთ ხელშემკვერელ მხარესა და მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორს შორის ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ წარმოშობილ

დავებზე, რომლებიც ეხება ამ უკანასკნელი ხელშეკრული მხარის მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების სავარაუდო დარღვევას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინვესტორის ან მისი ინვესტიციების დანაკარგი და ზარალი.

2. ხელშეკრულ მხარესა და მეორე ხელშეკრული მხარის ინვესტორს შორის მის ინვესტიციასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის შესახებ ინვესტორმა დეტალურ ინფორმაციასთან ერთად წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ინვესტიციის მიმღებ ხელშეკრულ მხარეს. შესაძლებლობის შემთხვევაში, ინვესტორი და შესაბამისი ხელშეკრული მხარე შეეცდებიან სადავო საკითხები გადაწყვიტონ კეთილსინდისურად, კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3. თუ ამ დავის ზემოაღნიშნული წესით გადაწყვეტა ვერ ხერხდება პირველ პუნქტში მითითებული წერილობითი შეტყობინებიდან ექვსი (6) თვის განმავლობაში, დავები, ინვესტორის შეხედულებისამებრ, შესაძლოა გადაეცეს:

(a) იმ ხელშეკრული მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა ინვესტიცია,

ან

(b) ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით:

(i) საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრს (ICSID), რომელიც შექმნილია "სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ" კონვენციის საფუძველზე; ან

(ii) საგანგებო საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობის საკითხებზე გაეროს კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესების 2010 წლის რედაქციის შესაბამისად.

4. მას შემდეგ, რაც ინვესტორი დავას განსახილველად გადასცემს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ დავების გადამწყვეტ ერთ-ერთ ორგანოს, მისი ეს არჩევანი ჩაითვლება საბოლოოდ. ასეთი არჩევანი მხარეების მიერ გამოყენებული იქნება დანარჩენი ორი ორგანოს გამოსარიცხად მსგავსი ან იდენტური დავების განხილვისას.

5. ინვესტიციებთან დაკავშირებული არცერთი დავა საარბიტრაჟო წესით განსახილველად არ გადაეცემა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ორგანოს, თუ გასულია ხუთ წელზე მეტი იმ დღიდან, როდესაც ინვესტორმა პირველად შეიტყო, ან მას პირველად უნდა შეეტყო სავარაუდო დარღვევისა და იმ ზარალის ან ზიანის შესახებ, რომელიც მან სავარაუდოდ განიცადა.

6. მხოლოდ იმ დავებზე, რომლებიც უშუალოდ წარმოშობილია ხელშეკრულ მხარეთა უცხოური კაპიტალის შესახებ სათანადო კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად განხორციელებულ და ეფექტურად დაწყებულ ინვესტიციებთან

დაკავშირებით, გაგრეცელდება საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICSID) ან ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერ სხვა დავების მოგვარების საერთაშორისო მექანიზმის იურისდიქცია.

7. საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ამ შეთანხმების დებულებების, დავაში ჩართული იმ ხელშემკვერელი მხარის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნა ინვესტიცია (საკანონმდებლო ხარვეზებთან დაკავშირებული მისი წესების ჩათვლით) და ასევე, ხელშემკვერელ მხარეთა შორის შეთანხმებული საერთაშორისო სამართლის სათანადო პრინციპების შესაბამისად.

8. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულო დავაში მონაწილე ყველა მხარისთვის. თითოეული ხელშემკვერელი მხარე უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 11

### შელავათებზე უარის თქმა

1. ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია უარი თქვას ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შელავათების მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორისთვის მინიჭებაზე, რომელიც ამ ხელშემკვერელი მხარის კომპანიას წარმოადგენს და ამ ინვესტორის ინვესტიციებს, თუ კომპანია არ აწარმოებს ძირითად სამეწარმეო საქმიანობას იმ ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე, რომლის კანონმდებლობის შესაბამისადაც იგი შეიქმნა ან ჩამოყალიბდა, და არახელშემკვერელი მხარის ინვესტორებს ან შელავათებზე უარის მთქმელი ხელშემკვერელი მხარის ინვესტორებს, რომლებიც ფლობენ ან აკონტროლებენ კომპანიას.

2. შელავათების აურწყოველი ხელშემკვერელი მხარე, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შელავათების უარყოფამდე აცნობებს მეორე ხელშემკვერელ მხარეს.

## მუხლი 12

### დავების მოგვარება ხელშემკვერელ მხარეთა შორის

1. ხელშემკვერელი მხარეები კეთილსინდისიერად და თანამშრომლობის სულისკვეთებით უზრუნველყოფენ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით მათ შორის წარმომობილი დავების სწრაფ და სამართლიან გადაწყვეტას. ამ მიზნის მისაღწევად ხელშემკვერელი მხარეები თანხმდებიან გამართონ პირდაპირი და არსებითი მნიშვნელობის მოლაპარაკებები. თუ ხელშემკვერელი მხარეები ვერ ახერხებენ ზემოაღნიშნული

წესით შეთანხმების მიღწევას დავის წარმოშობიდან ექვსი თვის განმავლობაში, დაეა ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მოთხოვნით შესაძლოა გადაეცეს სამი წევრისაგან შემდგარ საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

2. მოთხოვნის მიღებიდან ორი (2) თვის განმავლობაში თითოეული ხელშემკვერელი მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს. ეს ორი არბიტრი თავმჯდომარედ ირჩევის მესამე არბიტრს, რომელიც მესამე სახელმწიფოს მოქალაქეა. თუ რომელიმე ხელშემკვერელი მხარე ვერ დანიშნავს თავის არბიტრს დადგენილ ვადაში, მეორე ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია არბიტრის დანიშვნის თხოვნით მიმართოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს.

3. თუ ორი არბიტრი ვერ ახერხებს შეთანხმების მიღწევას თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით მათი დანიშნიდან ორი თვის განმავლობაში, თავმჯდომარეს ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მოთხოვნით დანიშნავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი.

4. თუ წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს არ შესწევს აღნიშნული ფუნქციის შესრულება ან ის არის ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მოქალაქე, დანიშნავს განახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო თუ ვიცე-პრეზიდენტს არ შესწევს აღნიშნული ფუნქციის შესრულება ან ის არის ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მოქალაქე, დანიშნავს განახორციელებს სასამართლოს მომდევნო ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც არც ერთი ხელშემკვერელი მხარის მოქალაქე არ არის.

5. თავმჯდომარის შერჩევიდან სამი (3) თვის განმავლობაში ტრიბუნალი შეთანხმებს თავის საპროცედურო წესებს, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე შეთანხმების სხვა დებულებებთან. ამგვარი შეთანხმების არასრებობის შემთხვევაში, ტრიბუნალი თხოვნით მიმართავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს, რათა მან თავად განსაზღვროს საპროცედურო წესები საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცედურის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით.

6. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ყველა სადავო საკითხი წარედგინება და მასთან დაკავშირებული ყველა მოსმენა ჩატარდება თავმჯდომარის შერჩევის დღიდან რვა (8) თვის განმავლობაში, ხოლო ტრიბუნალი თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს სადავო საკითხების საბოლოო წარდგენის ან მოსმენების დასრულების დღიდან ორი (2) თვის განმავლობაში, რომელიც უფრო გვიან მოხდება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით და ისინი საბოლოოა და სავალდებულო შესასრულებლად. საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ამ შეთანხმებისა და ხელშემკვერელ მხარეთა შორის არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

7. ხელშემკვერელი მხარეები თავმჯდომარის, სხვა არბიტრების და სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს გადაინაწილებენ თანაბრად. მიუხედავად

ამისა, ტრიბუნალმა შესაძლოა ხარჯების უფრო დიდი ნაწილის ანაზღაურება დაავისროს რომელიმე ხელშემკვერელ მხარეს.

8. ეს მუხლი არ გამოიყენება იმ დავის მიმართ, რომელიც წარდგენილია და ჯერ კიდევ განიხილება მე-10 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. ეს ხელს არ უშლის ხელშემკვერელ მხარეთა შორის პირდაპირი და არსებითი მოლაპარაკებათა გამართვას.

### მუხლი 13 ძალაში შესვლა

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვერელ მხარეთა მიერ დიპლომატიური არხების საშუალებით ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღეს, რომელიც ადასტურებს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი შესაბამისი შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულებას.

2. ეს შეთანხმება ძალაში რჩება ათი (10) წლის ვადით და ამის შემდგომ, ის ძალაში იქნება შემდგომი ორ (2) წლიანი პერიოდით, სანამ მას მოქმედება არ შეუწყდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. წინამდებარე შეთანხმებაში, ხელშემკვერელ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ძალაში შევა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული სახით მიღებული დოკუმენტები წარმოადგენენ ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

4. თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია მეორე ხელშემკვერელი მხარისთვის ექსი (6) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, მოქმედება შეუწყვიტოს წინამდებარე შეთანხმებას თავდაპირველი 10 წლიანი ვადის ბოლოს ან ამის შემდგომ ნებისმიერ დროს.

5. იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც განხორციელდა ან შეიქმნა იქნა წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე და რომელთა მიმართაც წინამდებარე შეთანხმება ყველა შემთხვევაში ვრცელდება, წინამდებარე შეთანხმების ყველა მუხლი ძალაში დარჩება შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის დღიდან კიდევ ათი (10) წლის განმავლობაში.

6. ეს შეთანხმება ჩაანაცვლებს და შეცვლის „თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია 1992 წლის 30 ივლისს, ქ.

თბილისში (შემდგომში მოხსენიებული როგორც „წინა შეთანხმება“), და მისი მოქმედება შეწყდება ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან. საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე წარდგენილი დავები გადაწყდება წინა შეთანხმების დებულებების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის დასტურად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელისმომწერმა მხარეებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია ორ ეგზემპლარად, ე. ანკარაში, 2016 წლის 19 ივლისს თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე, თითოეულ ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია.

წინამდებარე შეთანხმების განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

თურქეთის რესპუბლიკის  
მთავრობის  
სახელით

საქართველოს მთავრობის  
სახელით

ნიჰათ ზ. ბეჩქი  
ეკონომიკის მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების მინისტრი